

## მსოფლიოში და საქართველოში ყველაზე მეტად მეხანძრეებს ენდობიან

2009 წელს ჩატარდა გამოკითხვა კონკრეტული პროფესიული ჯგუფების მიმართ მოსახლეობის ნდობის გამოსავლენად. გამოკითხვა 17 295 რესპოდენტი ევროპის 16 ქვეყანასა და აშშ-ში. კვლევა ჩატარა მსოფლიოში სიდიდით მესამე კომპანიამ gfk-მ.

საქართველოში ანალოგიური კვლევა ჩატარა კვლევითმა კომპანიამ BCG-მ.

საინტერესოა შემდეგი შედეგი – როგორც გამოკითხულ ქვეყნებში, ასევე საქართველოში ჩამოთვლილ პროფესიებს შორის ყველაზე მაღალი ნდობის ინდექსი მეხანძრეებს აღმოაჩნდათ. გამოკითხულ 16 ქვეყანაში მეხანძრეებმა რესპოდენტთა 92%-ის ნდობა დაიმსახურეს. აღსანიშნავია, რომ BCG Research-ის მიერ ჩატარებულ ანალოგიურ ინტერნეტ გამოკითხვაშიც მეხანძრეები ასევე ლიდერობენ ნდობის 86.8%-იანი ინდექსით.

ევროპის ქვეყნებში მესამე ადგილი დაიკავეს ექიმებმა, ექიმებს რესპოდენტთა 81 % ენდობა. საინტერესო ფაქტია, რომ ჩრდილოეთ ევროპის ქვეყნების მასშტაბით ექიმებმა (85%) მეორე ადგილიც კი დაიკავეს და რეიტინგით გაუსწრეს მასწავლებლებს (83%). ზოგადად კი საქართველოს შემთხვევაში, შედეგი სრულიად განსხვავებულია – ექიმებმა დაიმსახურეს მხოლოდ გამოკითხულთა 56.6%-ის ნდობა, რაც სარეიტინგო ცხრილში მეთექვსმეტე ადგილს იკავებს. თუ გავითვალისწინებთ, რომ თვით ექიმების მიმართ ყველაზე სკეპტიკურად განწყობილ საბერძნეთში გამოკითხულთა 63 % უცხადებს მათ ნდობას, აშკარაა, რომ მიღებული შედეგი ყურადსაღებია.

ქართველი რესპოდენტები მეხანძრეების შემდეგ ყველაზე მაღალ ნდობას სასულიერო პირებს უცხადებენ – 86.2 პროცენტი, ევროპის ქვეყნების შემთხვევაში კი საშუალოდ გამოკითხულთა 66% ენდობა მათ. აღსანიშნავია, რომ მნიშვნელოვანი განსხვავებებია სხვადასხვა ქვეყნების მონაცემებს შორის. მაშინ როდესაც, რუმინელი რესპოდენტების 88% და და პოლონელი და გერმანელი გამოკითხულების სამ მეოთხედზე მეტი ეკლესიას ნდობას უცხადებს, საბერძნეთსა და საფრანგეთში მხოლოდ 26% და 36%-იანი ნდობის დონე დაფიქსირდა.

BCG Research-ის გამოკითხვის მიხედვით, მესამე ადგილს იკავებენ საქველმოქმედო ორგანიზაციები. მათ გამოკითხულთა 76.1 % უცხადებს ნდობას, მაშინ როდესაც ევროპის მასშტაბით, რესპოდენტთა მხოლოდ 60% ენდობა მათ.

საინტერესოა განსხვავებას იძლევა ბანკის მუშაკებისადმი გამოცხადებული ნდობის ხარისხი. ევროპის მასშტაბით, 2008 წლის გამოკითხვასთან შედარებით, ბანკებისადმი ნდობა 45%-იდან 37%-მდე შემცირდა. აღსანიშნავია, რომ აშშ-ში ჩატარებულმა ანალოგიურმა კვლევებმა უჩვენა ბანკების იმიჯის 20%-იანი შემცირება. ევროპის მასშტაბით ბანკები ყველაზე მეტ ნდობას შვეიცარიაში იმსახურებენ – 68% (2008 წელს ეს მონაცემი 77%-ს შეადგენდა). სრულიად განსხვავებულ შედეგი აჩვენეს ქართველმა

რესპოდენტებმა – 71.1 % ენდობა მათ და ბანკის მუშაკები პატრულთან ერთად მეოთხე პოზიციას იყოფენ.

ევროპასთან შედარებით მაღალი ნდობით სარგებლობს პოლიცია საქართველოში (71.1%). მაღალი ნდობა გამოუცხადეს პოლიციას ჩრდილოეთ ევროპის ქვეყნებმაც, თუმცა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში ამ პროფესიულ ჯგუფს მხოლოდ გამოკითხულთა ნახევარი ენდობა. განსაკუთრებით დაბალი ნდობის ხარისხია რუსეთში (37%).

რაც შეეხება გარემოს დაცვის ორგანიზაციებს, პროფკავშირებს, ადვოკატებსა და ჟურნალისტებს, მათ ევროპისა და საქართველოს მასშტაბით თითქმის ერთნაირი შეფასება დაიმსახურეს.

აღსანიშნავია, რომ მარკეტოლოგები, უმაღლესი რანგის მენეჯერები და სარეკლამო სააგენტოები საქართველოში უფრო მაღალ ნდობას იმსახურებენ, ვიდრე ევროპაში.

საქართველოში გამოკითხულთა ყველაზე მცირე რაოდენობა, დაახლოებით 21.4% თანაბარ ნდობას უცხადებს მოსამართლეებსა და პოლიტიკოსებს. მაშინ, როდესაც GfK-ის გამოკითხვის საერთო მონაცემებით პოლიტიკოსები ყველაზე ნაკლებ ნდობას იმსახურებენ და საბერძნეთში მათდამი გამოცხადებული ნდობა მხოლოდ 6 %-ია, განსხვავებული სიტუაციაა სასამართლოს შემთხვევაში. ევროპელ რესპოდენტთა დაახლოებით 57% ენდობა სასამართლოს. პოლონეთში გამოცხადებული ნდობა 86%-საც კი შეადგენს. გამოკითხული ევროპის ქვეყნებიდან მოსამართლეებს ყველაზე ნაკლებად ბულგარეთში ენდობიან – 31 %.

მოსახლეობის ნდობის რეიტინგი სხვადასხვა პროფესიული ჯგუფების მიმართ

პროფესიული ჯგუფები	საქართველოში ჩატარებული კვლევის მიხედვით 2009	გამოკითხული 16 ქვეყნის საშუალო მაჩვენებლები 2009	ქვეყნები ნდობის უმაღლესი ხარისხით კონკრეტული პროფესიების მიმართ		ქვეყნები ნდობის ყველაზე დაბალი ხარისხით კონკრეტული პროფესიების მიმართ	
<b>იმ რესპოდენტების პროცენტული წილები, რომლებმაც გამოხატეს ნდობა კონკრეტული პროფესიების მიმართ</b>						
მეხანძრეები	<b>86.8</b>	92	შვედეთი	98	პოლონეთი	71
სასულიერო პირები	<b>86.2</b>	66	რუმინეთი	88	საბერძნეთი	26
საქველმოქმედო ორგანიზაციები	<b>76.1</b>	60	პოლონეთი	79	იტალია	53
პოლიცია	<b>71.1</b>	61	გერმანია	88	რუსეთი	37
ბანკის მუშაკები	<b>71.1</b>	37	შვეიცარია	68	რუსეთი	25
მასწავლებლები	<b>70.4</b>	85	პოლონეთი	96	საბერძნეთი	71
უმაღლესი რანგის მენეჯერები	<b>68.6</b>	33	პოლონეთი	73	გერმანია	15
გარემოს დაცვის ორგანიზაციები	<b>64.8</b>	64	პორტუგალია	88	იტალია	53

შეიარაღებული ძალები	63.5	81	პორტუგალია	89	პოლონეთი	52
მარკეტოლოგები	59.7	39	პორტუგალია	71	საფრანგეთი	24
ექიმები	56.6	81	ესპანეთი, პორტუგალია, ჩეხეთი	92	საბერძნეთი	63
ადვოკატები	54.7	47	გერმანია	73	საბერძნეთი	24
რეკლამა/სარეკლამო სააგენტოები	45.9	28	პოლონეთი	59	საფრანგეთი	14
ჟურნალისტები	39.6	41	პორტუგალია	66	საბერძნეთი	20
პროფკავშირები	38.4	43	შვეიცარია	63	იტალია	27
სასამართლო/მოსამართლეები	21.4	57	პოლონეთი	86	ბულგარეთი	31
პოლიტიკოსები	21.4	18	შვედეთი	38	საბერძნეთი	6

საქართველოში კვლევა ჩატარდა ინტერნეტ კვლევის მეთოდით, გამოიკითხა 500 რესპონდენტი.